სსიპ - წყალტუბოს კოლეჯის დირექტორის ბრძანება

№2

12 ---------- 2023წ.

წყალტუბო
თერნალი

სსიპ - წყალტუბოს კოლეჯში პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევის მექანიზმების დამტკიცების შესახებ

კოლეჯში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმებისა და პროცედურების განსაზღვრის მიზნით მიზანშეწონილია შემუშავდეს და დამტკიცდეს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 21 ოქტომბრის N117/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - წყალტუბოს კოლეჯის წესდების“ მე-5 მუხლის „ი“ პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. კოლეჯში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმებისა და პროცედურების განსაზღვრის მიზნით, თანდართული რედაქციის შესაბამისად დამტკიცდეს სსიპ - წყალტუბოს კოლეჯის პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევის მექანიზმები (დანართი თან ახლავს).
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11).

ნონა ჯაჯანიძე

კოლეჯის დირექტორი

სსიპ წყალტუბოს კოლეჯი
221289031
LEPL TSKALTUBO COLLEGE

დანართი

დამტკიცებულია
სსიპ „წყალტუბოს კოლეჯის“ დირექტორის
2023 წლის -----------------------ის N--------- ბრძანებით

პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევის მექანიზმები

წყალტუბო, 2023

1. სსიპ წყალტუბოს კოლეჯის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესი (შემდგომში - „წესი“) განსაზღვრავს კოლეჯში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმებსა და პროცედურას, რომელთა ეთიკის ნორმებში და უფლებამოსილების ფარგლებში შესრულებაზე პასუხიმგებელია მედდა/ბიბლიოთეკარი.
2. კოლეჯში პირველადი გადაუდებელი დახმარების გასაწევად მოწყობილია შესაბამისი სივრცე (სამედიცინო ოთახი), სადაც განთავსებულია პირველადი გადაუდებელი დახმარებისათვის საჭირო საშუალებები.
3. მედდა/ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოსაჩენად საჭირო ინვენტარის და დახმარების აღმოსაჩენად საჭირო საშუალებების შენახვა/მონიტორინგს.
4. საჭირო საშუალებების ხარჯვა აღირიცხება ჟურნალში.
5. კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტისთვის პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევის შესაძლებლობის და შესაბამისი მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას სწავლის დაწყებიდან უმოკლეს ვადაში.
6. კოლეჯი უზრუნველყოფს პერსონალისთვის და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევის შესაძლებლობის და შესაბამისი მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას სამუშაოს დაწყებიდან უმოკლეს ვადაში.
7. კოლეჯი უზრუნველყოფს მის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი (მათ შორის შშმ) პირისთვის კონსულტაციის და პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევას მედდა/ბიბლიოთეკარის მეშვეობით.
8. მედდა/ბიბლიოთეკარი, გარემოებების შეფასების საფუძველზე, იმისდა მიხედვით თუ რა ტიპის დახმარება უნდა გაეწიოს პირს, იღებს შემდეგ ერთ–ერთ ან რამდენიმე გადაწყვეტილებას ერთდროულად:
   ა) თავად გაუწიოს პირველადი გადაუდებელი დახმარება;
   ბ) უშუამდგომლოს პირს სალექციო ან სამუშაო საათებიდან გათავისუფლების თაობაზე;
   გ) გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარება.
9. პერსონალის/პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაოდან დროებით გათავისუფლების საჭიროებისას, მედდა/ბიბლიოთეკარი ვალდებულია შუამდგომლობა აცნობოს პირის უშუალო ხელმძღვანელს, რა შემთხვევაშიც გაცდენილი სამუშაო დრო ჩაითვლება საპატიოდ.
10. პროფესიული სტუდენტის ლექციებიდან დროებით გათავისუფლების საჭიროებისას, მედდა/ბიბლიოთეკარი ვალდებულია შუამდგომლობა აცნობოს სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს, რა შემთხვევაშიც გაცდენილი ლექციები ჩაითვლება საპატიოდ.
11. სალექციო საათიდან არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის გათავისუფლების შემთხვევაში, მედდა/ბიბლიოთეკარი ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის კანონიერ წარმომადგენელს.
12. იმ შემთხვევაში თუ შეუძლოდ მყოფი პირი ვერ გადაადგილდება დამოუკიდებლად, პერსონალი, პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიულ სტუდენტები ვალდებულნი არიან დაეხმარონ აღნიშნულ პირს სამედიცინო ოთახამდე მისვლაში ან ადგილზე შემოწმების უზრუნველსაყოფად აცნობონ კოლეჯის მედდა/ბიბლიოთეკარს.
13. საჭიროების ან საჭიროების თაობაზე ეჭვის არსებობისას, კოლეჯის მედდა/ბიბლიოთეკარი, მისი ადგილზე არყოფნის შემთხვევაში კი კოლეჯში მყოფი ნებისმიერი პირი, ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარება.
14. სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახებისას კოლეჯის მედდა/ბიბლიოთეკარმა, ან გამოძახების განმახორციელებელმა ნებისმიერმა პირმა, ოპერატორს უნდა მიაწოდოს მოთხოვნილი მის ხელთ არსებული ინფორმაცია.

15. კოლეჯი უფლებამოსილია, პირის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და უსაფრთხოების დასაცავად, განახორციელოს ისეთი ქმედება, რაც ამ წესით არ არის განსაზღვრული, თუმცა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობასა და არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს.